



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაპარი

კაპარი (Capparis), მცენარეთა გვარი კაპარისებრთა ოჯახისა. გვხვდება ხეების, ბუჩქების, ბუჩქბალახებისა და მრავალწლოვანი ბალახების სახით. 300-მდე სახეობა უმთავრესად გავრცელებულია ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. ე კ ლ ი ა ნ ი კ. (C. spinosa) ბუჩქბალახია. აქვს გრძელი, გართხმული ღეროები და თეთრი ან მოთეთრო-ვარდისფერი - გრძელყუნწა ყვავილები. გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში, წინა და ცენტრ. აზიაში, ინდოეთში, სამხრ. ყირიმში, კავკასიასა და შუა აზიაში. ჩვენში აღმ. საქართველოში გვხვდება. კ. იზრდება ბარისა და მთისწინეთის უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოში, თიხიან, ხშირად ბიცობიან ნიადაგზე. კოკორს, მკვახე ნაყოფს და ნორჩ ყლორტებს ამწნილებენ, მწიფე ნაყოფი იჭმება. თესლში 30%-მდე ზეთია. შეიცავს ალკოლოიდ კაპარიდინს. იყენებენ ხალხურ მედიცინაში, აგრეთვე მშრალ რეგიონებში მოშიშვლებული ადგილების დასაფარად. თაფლოვანი მცენარეა.

მ. სახოკია
